კვირა, 12 მარტი 1917 წ.

რედაქციის ადრესი:
ტფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

ეშმაკის მათრახი

№ 11

1917

შინაარსი. უკანასკნელი; — ეშმაკი. ბიუროკრატ მთავრობაძე — მორიელი. ტრაური. გაზაფხული — ბლიკაძე. ეშველათ — ისტორიკოსი. ქვეყანა ხარობს — კოლო. ახალი პოეზიის ნიმუში — შექანჯალებული. მიმოხილვა. პოლიტიკური დღიური.
კარიკატურები — სასახლე. მიტინგი. მთავრობაძე. მინისტრთა სხდომა.



სასახლის მიდამოს ბნელოდა.
სინათლეს არავინ ელოდა.
მაგრამ ჰა, იფეთქა რისხვითა
(თებერვლის ოცდაშვიდს რიცხვითა)
და იგი სასახლე ტანჯვისა
მყის გროვად შეიქმნა ნაგვისა.

უკანასკნელი

ჩვენებს ცაზე ლხინი ჰქონდათ, ლხინი ქვეყნის გასაკვირი.
ელვის ენთო ჩირაღდნები, მეხის სცემდა ბუკ-საყვირი
და მრისხანე ზეცის პირთან მიწის გულის შემაერთი
მისთა ბედკრულ ბინადართა მხოლოდ კვნესა იყო ერთი

—

შავის ღრუბლით შემოსუდრა მან ლაჟვარდი ცისა არე
მან მზის სხივი დაატყვევა, მან მოსტაცა ბადრი მთვარე
და ცოდვებით განალაღი შავი ზეცის პირ-ქუშ ველზე
შავის ფრთებით ქანაობდა შავ ღრუბელთა სარეცელზე..

—

ცოფიანი ქარიშხალი ღრღნიდა კლდეებს, ჰგლეჯდა მუხებს,
მრისხანე ხმას უერთებდა მეხს, ღრუბლებში დანაქუხებს
და ჰაოსით შეიცვალა ჯოჯოხეთად შენამოსი
სიმშვენე და ჰარმონია ქვეყნის ამა მიდამოსი.

—

ვინც იხილა ეგ ზეიმი, ვინაც ნახა ეგ მეჯლიში
სთქვა:—ეშმაკთა ბატონობას აღარა აქვს ზეცის შიში.
იქ, უფსკრულში, სანთლის შუქი ეგრე ობლათ დაბარბაცებს.
ამირანი აწ არსად სჩანს ზეცას ცეცხლს ვინ გამოსტაცებს?

—

და ჰა, აღსდგა ამირანი, ზეცის რისხვას არ უყურა...
მადლიანი, მძვლავრი ხელით გააღვივა იმან ქურა.
ალი მოსკდა, გაარღვია მან შავ-ბნელი რიდე ცისა
და კვლავ მოხვდა დედა მიწას სასიცოცხლო სხივი მზისა.

ეშმაკი.

ბიუროკრატ მთავრობაძე

(ნეკროლოგი)

„27 го февраля въ 12 ночи скоропостижно скончался въ Петроградѣ Г-нъ Мтавробадзе“. (კერძო დეპეშა.)

აი, მოულოდნელი ცნობა, რომელმაც ძირბუდიანათ შეარყია მთელი ჩვენი ცხოვრება.

ბატონებო, ჩვენი საყვარელი, ძვირფასი და დაუვიწყარი ბ ნი ბიუროკრატ მთავრობაძე აღარ გვყავს! ის უეცრად გარდაიცვალა ქალაქ პეტროგრადში 27 თებერვალს, ღამის თორმეტ საათზე.

ჩვენში ეგ სამწუხარო ცნობა 28 თებერვალს მოვიდა ზემო აღნიშნულ რუსული დეპეშის სახით და აუწერელს მწუხარებაში ჩაგვაგდო. ელვის უმალეს მოედო თფილისს გულის ამაჩუყებელი ცნობა და ათიოდ წუთის შემდეგ ყველას პირზე ბიუროკრატ მთავრობაძის ნეტარხსენებული სახელი ეკერა.

— გაიგე კაცო?

— რა ამბავია?

— როგორ თუ რა ამბავია, მთავრობაძე მომკვდარა.

— ნუ თუ? უი საწყალო!

გაისმოდა ყოველი მხრივ და ხალხი მწარე ცრემლით იმდუღრებოდა. ასე კარგია, პატივცემულნო მკითხველნო, ვინაც სიცოცხლეში კეთილ თესლსა სთესავს. მას სიკვდილის შემდეგ სიყვარულის ცრემლით მორწყავენ და დიდების სხივით შემოსავენ.

მართლაც ვინ დააფასებს, თუნდაც დაახლოებით ვინ გაზომავს იმ ღვაწლს, რომელიც ჩვენს წინაშე მიუძღვის ახლად გარდაცვალებულ ბ-ნ ბიუროკრატ მთავრობაძეს?

რასაკვირველია ვერავინ.

ვინ გაასწორებს ჩვენს წერილებს, პატივცემულო მკითხველო და ვინ ამოჩხრეკს იქიდან საპირო აზრებს, თუ არ ბ-ნი მთავრობაძე?

ვინ გაუწევს მცველობას ჩვენს ძმებსა, მამებსა და შვილებს ციხეებსა და საპყრობილეებში? თუ არ დაუღალავი ჩვენი მთავრობაძე?

ვინ მოგვიწყობს უფასო ექსკურსიებს ჩვენი ქვეყნიდან შორეული ციმბირისაკენ თუ არ იგივ ბიუროკრატ მთავრობაძე?

ვინ შეუწყობს ხელს წვრილმან და მსხვილმან მოხელეებს ჯამაგირს გარდა ცოტა გამოსარჩენიც იქონიონ, თუ არ განსვენებული მთავრობაძე?

ვინ შეაგნებინებს სხვა და სხვა ეროვნებებს რომ მათ უნდა სჭამონ ერთმანეთი და ძირი უთხარონ მეზობლის კეთილდღეობას, თუ არ ეგრე უდროოთ გარდაცვალებული ბ-ნი მთავრობაძე?

ვინ დაამშვიდებს დამშეულსა და ვინ დაამშვენებს დამშვიდებულ ხალხს ისე, როგორც ამას იქმოდა ჩვენი სათაყვანებელი ბიუროკრატ მთავრობაძე?

ვინ დასწვავს და დაბუგავს მოძველებულ დაბა-ქალაქებს, როგორც ამას ხშირათ შვებოდა ნეტარ ხსენებული ბიუროკრატ მთავრობაძე?

ვინ დახურავს სასწავლებლებს, სბზოგადოებებს, სახალხო თეატრებსა და უნივერსიტეტებს ისე ხელოვნურათ, როგორც ამას ბ-ნი მთავრობაძე შვებოდა?

ვინღა დახვრეტს იმდენ გაფიცულ მუშებს და ვინღა ჩამოახრჩობს იმდენ ხალხს, რასაც ბიუროკრატ მთავრობაძის დაუღალავი ხელი ასდიოდა?

ბატონებო! ჩვენი მწუხარება განუზომელი იქნებოდა რომ ერთი იმედი არ გვასულდგმულებდეს. ვის არ მოეხსენება, რომ განსვენებულ ბიუროკრატ მთავრობაძეს დარჩა დიდძალი მემკვიდრეები. ხულიგან ბიუროკრატის ძე მთავრობაძე, უფროსი შვილი განსვენებულისა, მამის სიცოცხლეშიაც უდიდეს იმედებს იძლეოდა. ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ-ნ მთავრობაძის ჯერ კიდევ გაუცივებელ გვამთან შემოკრბებიან მისნი მემკვიდრენი ხულიგან ბიუროკრატის ძე მთავრობაძის ხელ მძღვანელობით და შეეცდებიან მამის მემკვიდრეობის აღდგენას.

აი სწორეთ ეს გარემეობა აღვიძებს ჩვენში მცირეოდენ იმედს და დარწმუნებული ვართ ყოველი გონიერი მკითხველი მიიღებს ყოველგვარ ღონისძიებას რათა განსვენებულის მემკვიდრეთ, თუ კი ასეთები გამოჩნდებიან, სრულად მიეწყოს ის, რის ღირსნიც არიან და რაიც ასე სამართლიანად დაიმსახურა ნეტარხსენებულმა ბ-ნმა ბიუროკრატ მთავრობაძემ.

მორიელი.

ბ-ნი ეშმაკი, მორიელი და კოღო; გულ მოკლული ცენზორი ჩვენი, ღრმად დამწუხარებული რედაქტორი ,,ეშმაკის მათრახისა'' და ცრემლ შეუშრობელნი გამომცემელნი მისნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროოთ გარდაიცვალა პირველის, მეორის და მესამის, ნათლია, მეოთხის მამა კეთილი, მესუთის ,,მოყვარეული'' მეექვსისა და მეშვიდის ჭირისუფალი.

ბიუროკრატ დესპოტისძე მთავრობაძე

პანაშვიდები ყოველ დღე ჟურნალის რედაქციაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. მიიღება სამგლოვიარო ლექსები და წერილები.

გაზაფხული

სულთ მობრძავია ზამთარი,
ადრე დღე დაებინდება.
გაზაფხულს პირი მოუჩანს,—
მადლი მის გამჩენს, დიდება.
ჩრდილოს დაჰქროლა ნიავმა,
სიცოცხლე აღარ ყინდება
და ჩატკბილ ხმა ბულბულებას
სამხრეთი ბანით ჰპირდება.
გული დაჰფერა სიამემ
ჟანგი მას არ ეკიდება;
ვხედავ იღვიძებს ბუნება
სიკვდილი აღარ მინდება.
თუმც გაცრცვნილ ამა სიცოცხლეს
ეს წამლად არ ეხიდება
და წუთიერი სიამე
მთელ შვებად არ იყიდება,
მარა რა ვქნა, რომ ოცნება
ზოგ-ზოგჯერ ამიხირდება,—
რომ ერთი მერცხლის ქიკჭიკი
მე მთელ გაზაფხულს მპირდება
და ამ ოცნებით გულის თქმა
გამი ქვა-კაჟ-კლდე-კირდება.

ა. ბლიკვაძე.

ეშველათ

(ისტორიული სპრავკა)

გაზეთ „სახალხო ფურცლის“ მე 812 ნომრის მეთაურ წერილში სწორეთ აი ეს სიტყვები სწერია:

„ამხანაგებო!*) დიადი დრო დაგვიდგა, არაჩვეულებრივი მდგომარეობა შეიქმნა. ძველი მოსეერობა უუფლებობისა, ჩაგვრისა და მტაცვლობისა ძირს დაეცა. ჩვენ ამამდე ჯურღმულებში მიმალულებს, დევნილებს; ჩვენ, რომელთაც სულს გვიხუთავდა ძველი რეჟიმი და სიშუალეს არ გვქონდა ხმის ამოდებისა დღეს დაგვიდგა დრო მზის სინათლეზე ამოსვლისა“.

ღრმა ტრაღიკული სიტყვებია და საჭიროთ მიმაჩნია მათი მნიშვნელობა ჩვენი მკითხველისათვისაც გავხადო ხელ-მისაწვდომი.

„ჯურღმულებს“ რომლებშიაც მართლაც ხშირად უხდებოდა სოც. ფედერალისტებს ყოფნა, ჩვეულებრივ ქართულ ენაზე „ღვინის სარდაფებს“ ეძახიან. ეს დაწესებულება მართლაც კარგა ღრმათ არის მიწაში მოთავსებული, საკმარისად ბნელი და ცივია. ასეთ „ჯურღმულებში“ ერთი მხრით აწყვია უზარ-მაზარი ბოჭკები და რუმბები ღვინით. იქვე ახლოს არის დაზგა, რომელზედაც აწყვია მრავალგვარი სამხიო სანოვაგე: ბატკნის ბარკლები, შემწვარი გოჯი, სუკი, ბასტურმის სამწვადე, მოხარშული და შემწვარი თევზეულობა, შემწვარი ინდოური, მრგვალად მოხარშული ქათმები, მწვანილეულობა და სხვა და სხვა.

ასეთი ჯურღმული უმეტეს ნაწილათ ბნელი და ჭუჭყიანია, მაგრამ თავისუფლებაც შედარებით მეტია იქ, ვიდრე ზევით, მზის გულსა და სინათლეზე. ფედერალისტები იქ ყოველთვის ფხიზელნი და ჯანსაღნი ჩადიოდენ, მაგრამ იქიდან ზედმეტი შრომისაგან მოქანცულნი და დარეტიანებულნი ბრუნდებოდენ. სულს ვერ წავიწყმენდ, უნდა ვსთქვა რომ ეს ერთად ერთი ალაგი იყო, სადაც ფედერალისტები ხშირ-ხშირად იგონებდენ სამშობლოს და ასე წარმოიდგინეთ თავისუფლებისათვის ბებრძოლობაც.

როდესაც „ჯურღმულებიდან“ დაბრუნებული ფედერალისტები გზა და გზა გამვლელთა ცხვირებს სწორებას შეუდგებოდნენ ხოლმე, ძველი დესპოტიური პოლიცია მათ მთვრალებად სთვლიდა და სდევნიდა. შეუნგნებელმა პოლიციამ რა იცოდა, თუ საქმე „ჯურღმულიდან“ დაბრუნებულ და საქვეყნო საქმით ზოქანცულ სოციალისტებთან ჰქონდა?.. ალბათ სწორეთ ამ გარემოებით აიხსნება მეთაურში ნახმარი სიტყვა „დევნილი“. ახლა დროე-

*) ძველი ფედერალისტები ამ სიტყვას სასაცილოდ იგდებდენ და ხმაროობდენ სიტყვა „მეგობარს“.

ბა იცვალა. ძველი მთავრობა დაეცა და ფედერალისტებიც თავისუფლად ამოდიან მზის სინათლეზე. აშკარაა პოლიციელთა მოხსნა უდიდეს რეფორმად უნდა ჩაითვალოს აღნიშნულ პარტიისათვის, ვინაიდან „ჯურღმულებიდან“ მზის სინათლეზე ამოსულთ და სახლისაკენ ბარბაცით მიმავალთ ხელს არავინ ახლებს.

ისტორიკოსი.

ქვეყანა ხარობს

(ინტერვიუ)

ქვეყანა ხარობს. ეშმაკს ცხვირი ჩამოუშვია.
მიველ და ვკითხე:
— რა ამბავი მოხდა, ბიძია,
რომ ამ სახალხო დღესასწაულს გამოქცევიხარ
და აქ მარტოკა, მოწყენილათ და ობლათ ზიხარ?
თითქო მას ჩემი სიახლოვე არც გაუგია...
ისე მომიგო, თავი მაღლა არ აუღია:
— შიში წყეული ჩემს არსებას შემოეპარა...
როს ყველა ჰხარობს, მე მაშინაც არ გამახარა.
ამბობენ: „მოგვცეს ქართველებსო **სიტყვის უფლება**“
და მე კი ჩვენში მოქალაქე მცირ მეგულვება,
რომ ნება მისცე **ლაპარაკის განუსაზღვრელი**
და იმან შემდეგ რამე **საქმეს** მოჰკიდოს ხელი.

კოლო

მიმოხილვა

(ჟურნალ გაზეთებიდან)

„ციხე შიგნიდან გატყდებაო“ მართალი ნათქვამია!

ქართველ არტისტების ჩივილმა გული გააწყალა:

„გვიჭირს, მშივრები ვართ, გვცივა, ჯამაგირები ცოტა გვეძლევა და იმასაც თავის დროზე ვერ ვიღებთ... დავჰქნით, ჩამოვხმით!..“

ჩვენც გვჯეროდა და მათი საცოდაობით ვიწოდით...

აქ-კი თურმე, ნუ იტყვი, რუსები რომ ამბობენ Съ жиру бѣсятся...

ვანო ბარველს მეტის სიმსუქნისგან გულზე ქონი გადაბლანდვია და შიგ ჩაუკლავს თუ რამ გააჩნდა კეთილშობილური გრძნობანი.

(თეატრი და ცხოვ. №9 იხი. **განო ბარვე-ლი** ***.

მიტინგი



1 ორატორი. მოქალაქენო! უმთავრესი საქმეა არ აღელდეთ, მშვიდობიანობა დაიცვათ.

2 ორატორი. ჩემი პირველი ოხოვნა თქვენდამი, მოქალაქენო, ორი სიტყვით გამოითქმის: მეტი სიდინჯე!

3 ორატორი. შევიკავოთ და დავიმორჩილოთ მღელვარება: აი რას გირჩევთ მოქალაქენო.

4 ორატორი. ძირს მღელვარება, გაუმარჯოს სიდინჯეს! აი ჩემი უმთავრესი ლოზუნგი!

ბ-ნ მოქალაქეს კი არ ემჩნევა მაინცა და მაინც დიდი მღელვარება.



1 მუშა. ნეტა ვინ უნდა იყოს ეგრე საშინლათ რო ყარს ეგ მიცვალებული?
2 მუშა. ეს ჩვენი ძველი ნაცნობი ბ-ნი მთავრობაძეა.

ერთი მათგანი*)

სასწრასათო საკითხი

შარშან წინ იმერეთში დიდი შიმშილობა იყო და მთავრობამ ხალხს სესხად სიმინდი მისცა. ამ კარიკატურაზე გამოხატულია სიუხვე დახმარებისა. მიზეზი კარიკატურის დაჭერისა იყო ის პატარა ნიშანი ქუდზე, რომელსაც „კაკარდა“ ეწოდება და რაიც ეგრე რიგათ უყვართ ზოგიერთა სოფლის მასწავლებლებს. ცენზურამ კაკარდის წაშლა მოგვთხოვა. ჩვენ ეს არა ვქენით, ვინაიდან სწორეთ კაკარდა იყო მაჩვენებელი მთავრობის მოხელეობისა. სურათი დაიჭირეს.

აქედან პატივცემული მკითხველი მიხვდებათუ რა მნიშველობა ჰქონია კაკარდას!

---

*) ამ სათაურით „ეშმაკის მათრახში“ დრო და დრო მოგვათავსებთ იმ სურათებს, რომელიც წინათ ცენზურისაგან აკრძალული იყო.

მოდი შენა და დაიჯერე მაგათი ჩივილი!
ან იქნებ ეს პროვოკაცია იყოს?!
ეს უფრო დასაჯერია!

ვანო ბარველს სიმსუქნისაგან შეიძლება გულზე კი არა, ტვინზედაც გადაკრული ჰქონდეს ქონი, მაგრამ ვასო აბაშიძის ქონი-კი-ვერ წარმოგვიდგენია.

ვასო აბაშიძე მთლად რომ გადაადნო მისი ქონით ერთ რწყილსაც ვერ მოხრაკავ, არა თუ გულზე გადასაფარებლათ ეყოს...

ეს წმინდა წყლის პროვოკაციაა!..

საჭიროა ზომების მიღება რომ ბარველმა სხვა დარიგშიაც არ გაუწიოს ამხანაგებს პროვოკაცია..

„ქ-ნმა მერაბიშვილმა გემნაზიის ადმინისტრაციას კინაღამ თვალები გამოკაწრა ჩემი შვილი რად ჩასწერეთ **მერაბიშვილად** და არა **მერაბოვათ-ო**“ („სახალ. ფურც.“ №803) ჩემი საქმე რომ იყოს ამ ქალბატონს ქუთათურ ექიმ მეფარიანზე დავწერდი ჯვარს... ეს ორნი ერთად მშვენიერ შვილებს აღუზრდიდენ საზოგადოებას!..

ახალი პოეზიის ნიმუშები

ჭლექიანი კრუხი

(ძღვნად ფუტურისტებს)

დაჭლექდა კრუხი, სამიკვირა ის აზის კვერცხებს,
გამოსჩეკს წიწილთ და საბრალო მალე ფეხს გასცხებს,
მოკვდება კრუხი, კრუხი ნაზი და შავთვალწარბა,
მაგრამ... ახ—არა! მან მოლოდინს გადააჭარბა:
წიწილებიც ჰყავს, დღესაც სოცხლობს ლამაზი კრუხი,
და ეფინება ეზოს მისი ბნელი რუხრუხი...
გარს-ეხვევიან წიწილები შავ,—ყვითელ,—რუხი...
წიწილებს უხმობს, საკვებს სძებნის სანაგვეს ქექით,
მაგრამ დღეს თუ ხვალ ის მოკვდება ყვითელი ჭლექით.
წიწილთა ტრფობამ დააჭლექა კრუხი საწყალი,
კვერცხებზე მჯდომი სიცხემ დასწვა, სწყურიოდა წყალი,
იგი, ვით დედა შეეწირა ფეხცელქ წიწილებს...
და სანამ სოცხლობს იმათ მაინც ვეღარ იცილებს.
მაგრამ სანამდე?!! დაეცემა ფრთებ დალეწილი,
ცხარე ცრემლებით დაიტირებს ყველა წიწილი,
ბრბოს კი, რა ნახავს, აუტყდება მწვანე სიცილი...
მე მოვალ მაშინ და გაკოცებ ტუჩ გაცრეცილი...

შექანჯალებული.

პოლიტიკური კალენდარი

25 თებერვალი.

პეტროგრადში*) პური აღარ აღმოჩნდა. ამ ნიადაგზე ხალხში მღელვარება დაიწყო.

მთავრობამ, (ძველმა. საუკუნო განსასვენებელი დაუმკვიდროს მეუფემ) ჩვეულებისამებრ გულკეთილობა გამოიჩინა და „ცხელი პურის“ მაგიერ დამშეულ ხალხს „ცხელი ტყვია“ შესთავაზა. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ხალხი არ დაკმაყოფილდა. მღელვარება გაგრძელდა.

— დეპუტატებმა მიმართეს როძიანკოს შუამდგომლობა აღეძრა მთავრობის წინაშე, რათა იარაღი არ ეხმარათ პოლიციელებს აღელვებული ხალხის წინაამღდეგ, მაგრამ მთავრობამ ცხადია უკეთ იცოდა ხალხს რა მოუხდებოდა, პური, თუ ტყვია. გამოცდილი ჰქონდა.

---

26 თებერვალი.

მთავრობამ (აწ განსვენებულმა) ჩინებულათ იცოდა—ქართული ანდაზა: „არამკითხე მეამბეო, მისტყეპე და მიაგდეო“.

უმაღლესი ბრძანებით დათხოვნილ იქნა დუმა და სახელმწიფო საბჭო. საკანონმდებლო დაწესებულებათა მუშაობა ამ სესიაში 12 დღე გაგრძელდა.

— სახ. დუმის უხუცესთა საბჭომ დაადგინა არ დაემორჩილოს მეფის განკარგულებას და დუმის მუშაობა არ შესწყვიტოს.

— როძიანკომ დეპეშით მიმართა მეფეს. ამცნო ქალაქში მომხდარი ამბოხება და სთხოვა ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო ხალხის ნდობით აღჭურვილი პირისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხის რისხვის წინაშე პასუხის მგებელი გახდებიო.

— სახ. დუმაში დეპუტატებს შეუწყვეტელი სხდომა აქვთ. იმუშავებენ ზომებს ძველი მთავრობას დასამხობათ და ახალი დროებითი მთავრობის შესადგენათ.

— პეტროგრადის ქუჩებში ბრძოლაა რევოლიუციონერთა და ძველი მთავრობის მომხრეთა შორის. რევოლიუციონერებმა დაანგრიეს და ცეცხლს მისცეს საპოლიციო უბნები, სასამართლოს შენობა და საიდუმლო პოლიციის დაწესებულება.

---

27 თებერვალი.

სახელმწიფო საბჭოს წევრებმა დეპეშა გაუგზავნეს მეფეს და სთხოვეს: გადაეყენებია ძველი სამინისტრო, მოეწვია საკანონმდებლო დაწესებულებანი და ხალხის ნდობით აღჭურვილი პირისათვის მიენდო ახალი სამინისტროს შედგენა. მაგრამ ყოველივე ეს დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.“

— ღამის 12 საათზე საბოლოოთ შესდგა სახელმწიფო დუმის აღმასრულებელი*) კომიტეტი. კომიტეტში შევიდნენ: **როძიანკო, კერენსკი, ჩხეიძე, შულგ ინი, მილიუკოვი, კარაულოვი, კონავალოვი, დმიტრიუკოვი, რჟევსკი, შიდლოვსკი, ნეკრასოვი და ლვოვი.**

— როძიანკომ მოწოდება გამოსცა ჯარისა და ფლოტისადმი, რომლითაც ამცნო მათ სახელმწიფოს წეს-წყობილების განახლება და ძველი მთავრობის დამხობა.

სიტყვა „დამხობა“ ისე უნდა გავიგოთ, როგორც გადმოპირქვავება. შეიძლება დამხობილი ჭურჭელი გადმობრუნდეს, რის წინააღმდეგ საჭიროა განსაკუთრებული ზომები.

---

*) პეტროგრადი ჩვენში (ქ. თფილისში) რესტორანს ეწოდება, მაგრამ იქ, სადაც ეს ამბავი მოხდა, დიდი ქალაქია ორი მილიონი მცხოვრებით.

*) სიტყვა „აღმასრულებელი“ ჩვენ უნდა გავიგოთ ასე: მოახლოვდა აღსასრული ძველი მთავრობისა და ამ კომიტეტს ბოლო უნდა მოეღო მისთვის.

1 მარტი.

სამწუხაროთ თებერვალს წელს ერთი დღე აკლდა, ამიტომ ერთი დღით ნაკლები ზიანი მიადგა ძველ მთავრობას.

— სახ. დუმის აღმ. კომიტეტმა და მუშათა დეპუტატების საბჭომ მოწოდება გამოსცეს ხალხისადმი, რომელშიც აღნიშნეს მომხდარი სახელმწიფო **გადატრიალების** მნიშვნელობა და სთხოვეს დახმარებოდენ რევოლიუციონურ ჯარს.

„სიტყვა „გადატრიალება“ მრავალი მნიშვნელობით შეიძლება იხმაროს კაცმა. ამ შემთხვევაში უკულმიდან წაღმა შებრუნებას ნიშნავს.

— აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით დაინიშნენ განსაკუთრებული კომისარები, რომლებმაც იკისრეს სამინისტროების დროებით მართვა-გამგეობა.

— იუსტიციის სამინისტროს კომისარებმა მაკლაკოვმა და აჯემოვმა, იუსტიციის მინისტრის კერენსკის თანხმობით განკარგულება მოახდინეს: 1) დაუყონებლივ დააბრუნონ და განსაკუთრებული პატივის ცემით მოიყვანოთ პეტროგრადში ს. დ. ფრაქციის დასჯილი დეპუტატები 2) ებრაელებს ნება მიეცეთ ვექილთა წოდებაში ჩარიცხვის, 3) გაანთავისუფლონ ყველა პოლიტიკური ტუსაღები 4) სამოსამართლო პალატების პროკურორებს აეკრძალოთ პოლიტიკური დანაშაულობისთვის პასუხის გებაში მიცემა.

— დროებითი მთავრობა დაეპატრონა პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს და მისი ხელმძღვანელობა მიანდო სახ. დუმის წევრს გრონსკის.

— დაატუსაღეს და თავრიდის სასახლეში მიიყვანეს ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გორემიკინი, რომელიც საბარგო *) ავტომობილით აპირებდა გაპარვას.

*) საბარგო ავტომობილით იმიტომ აპირებდა, რომ მოხუც მინისტრს დიდძალი ტოდვები ჰქონდა თან წასაღები.

— საფრანგეთისა და ინგლისის ელჩებმა ახალი რევოლიუციონური მთავრობა კანონიერათ იცვნეს და საქმე დაიჭირეს მასთან.

— აფიცერთა კრებამ მოსკოვში მუშათა დეპუტატების საბჭოსთან ერთად კომიტეტი აირჩია, რომელსაც მიენდო ქალაქში მშვიდობიანობის დაცვა. ჯარებისა და მილიციონერთა უფროსათ დასაერობო გამგეობის თავმჯდომარე პოლკოვნიკი გრუზინოვია. კომიტეტმა დაატუსაღა მოსკოვის ჯარების უფროსი გროზოვსკი. ბუტირის ციხიდან გაანთავისუფლეს ტუსაღები.

— თფილისში ყველა ერთმანეთს ულოცავდა ბ-ნი მთავრობაჟის გარდაცვალებას, რომლის შესახებ წინღამით ცნობა მოვიდა.

2 მარტი.

— მეფის რწმუნებულმა ნიკოლოზ ნიკოლოზისძემ დეპეშით სთხოვა მეფეს დათანხმებულიყო როძიანკოს წინადადებაზე და ხალხის ნდობით აღჭურვილი სამინისტრო შეედგინა.

— პეტროგრადში დაატუსაღეს ძველი მთავრობის წარმომადგენელნი. დატყვევებული სუხომლინოვი პრაპორშჩიკმა და მეზღვაურმა დუმაში მიიყვანეს. ხალხის და ჯარის მოთხოვნით მას გენერლის პაგონები ააგლიჯეს და ციხეში გაგზავნეს.

— რევოლიუციონურ მთავრობას მორჩილება გამოუცხადა გვარდიელთა პოლკმა, რომელიც ფრონტიდან განგებ გამოიწვია მეფემ რეოლიუციონურ მთავრობასთან შესაბრძოლველათ.

— აღმასრულებელმა კომიტეტმა შეადგინა ახალი მთავრობა. (სამინისტრო). მასში შედიან შემდეგი პირები: გ. ე. ლვოვი, პ. მილიუკოვი, ა. კერენსკი, ნეკრასოვი, კონოვალოვი, მანუილოვი, გუჩკოვი, შინგარიევი, ტერეშჩენკო, გოდნევი და ვ. ლვოვი.

— მოსკოვში დაპატიმრეს პოლიციელები და ძველი მთავრობის მომხრეები. გაიმართა დიდი მანიფესტაციები და სახალხო მიტინგები. არჩეულ იქნა აღმასრულებელი კომიტეტი.

— თფილისის ქალაქის საბჭომ დაადგინა მხარი დაუჭიროს ახალ მთავრობას, მოითხოვა პოლიტიკური ამნისტია, სიტყვისა დაბეჭვდისა და სხვ. თავისუფლებანი.

— ნიკოლოზ მეორემ მეფობაზე უარი სთქვა და ტახტიდან გადადგა. უარი განაცხადა აგრეთვე შვილის სახლითაც. მეფობა დაუთმო ძმას მიხეილ ალექსანდრესძეს.

— პეტროგრადში დაატუსაღეს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი მაკლაკოვი, პეტროგრადის გარნიზონის კომენდანტი ხაბალოვი, ცნობილი შავრაზმელი დუბროვინი, სახ. საბჭოს თავმჯდომარე შჩეგლოვიტოვი, შტიურმერი, კურლოვი, პროტოპოპოვი, დობროვოლსკი, და სხვები, ვინაც დროიანათ დამალვა ან გაპარვა ვერ მოასწრო.

— ყოფილი მეფისნაცვალი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე დაინიშნა რუსეთი ჯარების მთავარსარდლათ.

— დაანპატიმრეს სახალხო განათლების მინისტრი კულჩიცკი.

— რუსეთის ყოველი კუთხიდან დეპეშებით აცნობებენ აღმასრულებელ კომიტეტს, რომ ხალხი და ჯარი ახალ მთავრობას სულითა და გულით თანაუგრძნობს და მხარს დაუჭერენ შავ ძალებთან ბრძოლაში.

3 მარტი.

— რუსეთის სამეფო ტახტი დიდმთავარს, მიხეილ ალექსანდრეს-ძესაც ემძიმა. მან უარი განაცხადა მეფობაზე, ვიდრე საყოველთაო, პირდაპირი დაფარული არჩევნებით არჩეული სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება არ გამოსთქვამს თავისს აზრს რუსეთში მომავალი მართვა-გამგეობის ფორმის შესახებ.

— მინისტრ კერენსკის განკარგულებით რუსეთის რევოლიუციის ბებიას ეკატერინე ბრეშკოვსკაიას ნება დართეს ციმბირიდან დაბრუნებისა.

— დეპუტატი როდიჩევი დაინიშნა ფინლიანდიის საქმეთა მინისტრათ.

4 მარტი

პეტროგრადში დაანპატიმრეს ძველ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გოლიცინი.

— სინოდის ახალმა ობერ პროკურორმა ვანკარგულება მოახდინა სინოდის სხდომის დარბაზიდან გაეტანათ მეფის ტახტი, როგორც სამბოლო თვითმპყრობელობისა

— მოსკოვში დიდის ამბით დაასაფლავეს რევოლიუციის გმირები: რატნიკოვი, მატკოვი და ურსო.

— იუსტიციის მინისტრის კერენსკის ბძანებით სამინისტროს სადგომი გასწმინდეს ნიკოლოზ მეორისა, მისი მეუღლისა და დიდი მთავრის სურათებისაგან. მოხელეებს ებძანათ არ ატარონ არავითარი ლენტები, ჩინები და ორდენები.

— დაანპატიმრეს ციმბირის ამაწიოკებელი ცნობილი გენერალი რენენკამფი და დეპ. გერცენშტეინის მკვლელი იურკევიჩ კრასკოვსკი.

— პეტროგრადში გამართა სოც. რევოლიუციონერთა კონფერენცია, რომელმაც დაადგინა მხარი დაუჭიროს ახალ მთავრობას რეაქციასთან ბრძოლაში.

— გამოვიდა პირველი ნომერი სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „პრავდასი“, რომელსაც სცემს პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

— კერენსკის განკარგულებით საიდუმლო პოლიციისა და აგენტების მთელი არქივი ბურცევს გადასცეს.

— სარდალმა ბრუსილოვმა კიევისა და ოდესის სამხედრო ოლქების ჯარებ. უბძანა ახალ მთავრობას დაემორჩილონ.

— მილიუკოვმა რადიო-დეპეშით აცნობა მთელ ქვეყანას რუსეთის წესყობილების განახლება და ახალი მთავრობის შედგენა.

— საფრანგეთის სოციალისტები მიესალმენ რუსეთის რევოლიუციას.

— თფილისში შესდგა პირველი კრება მუშათა დეპუტატების საბჭოსი. არჩეულ იქნა აღმსრულებელი კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარეთ

აირჩიეს ნოე ჟორდანია, ამხანაგებათ, ერაძე და ევსეევი, მდივნათ ხანოიანი და ვ. ჟღენტი

5 მარტი.

საზოგადოებათა და ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან შესდგა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი, რომელმაც აირჩია პრეზიდიუმი. პრეზ. თავმჯდომარეთ აირჩიეს ნ, ზ. ელიავა იმის ამხანაგებათ კ. შემეტოვი და გ. კაფიევი.

— იუს. მინისტერმა განკარგულება მოახდინა შესწყვიტონ რასპუტინის მოკვლის საქმე. თავად იუსუპოვსა და მთავარს დიმიტრის პავლეს ძეს ეცნობათ, რომ შეუძლიათ დაუბრკოლებლათ დაბრუნდენ პეტროგრადში.

ახალი ობერ-პროკურორის ლვოვის განკარგულებით თანამდებობიდან გადააყენეს მიტროპოლიტემი პიტირიმი და მოსკოვის მაკარი.

— კერენსკიმ გაანთავისუფლა ფინლიანდიის სეიმას თავმჯდომარე სვინხუვუდი და ბძანება გასცა პატივით მიიყვანონ ის პეტროგრადში.

— დროებითმა მრავრობამ გააუქმა საიდუმლო პოლიციის განყოფილება და ჟანდარმთა კორპუსი.

— მინისტ. საბჭოს თავმჯდომარემ ბძანება გამოსცა თანამდებობიდან გადააყენონ ყველა გუბერნატორები, ვიცეგუბერნატორები და პოლიცია.

— თფილისის გუბერნიის ჟანდარმთა უფროსი თანადებობიდან გადადგა და თავისი ხელქვეითი მოსამსახურებიც დაითხოვა.

— ნაძალადევში გაიმართა დიდი სახალხო მიტინგი, რომელზედაც ადგილობრივი ჯარები აფიცრების თანხლებით დაესწრენ.

ეროველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„საქართველო“

ყოველ კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:

მთელის წლით — 15 მან, ნახევარის წლით — 9 მან, სამის თვით — 5 მან., ერთის თვით — 1 მ. 80 კაპ ფოსტით ერთი თვით გაზეთის გამოწერა არ იქნება.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესითელის მოწერის დროს — 7 მან; პირველ მარტისთვის 5 მან და პირველ იანვრისათვის 3 მან. ვისაც წლიურად სურს გაზეთის გაწერა, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკა.

რედაქციის მისამართი: თბილისი მოსკოვის ქ. № 4. ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76)

რედაქტორი: ს. შანშიაშვილი.

კანტორა ღიაა: დილით — 9-ან — 3 საათამდე, საღამოს — 5-ან — 7 საათამდე.

გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

ყოველ-კვირეული იუმორისტიული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

ჟურნალის ფასი: 12 თვით 7 მ. —
6 თვით 4 მ. — კ.
3 თვით 2 მ. — კ.
1 თვით — 70 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესებიდა სხვა.

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ე შ მ ა კ ი,
ხოლო გამოცემის საქმეს კანტორა „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მასალები და ფული ამ ადრესზე: გამოიგზავნონ Тифлисъ, С. Р. Таварткиладзе, Ольгинская, 6 поч. ящ. № 96.

„თანამედროვე აზრი“

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მ. სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მან. 40 კაპ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.
ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199, Власію Малакіевичу Бохохадзе.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა № 6.